

საკანონმდებლო მაცნე

ცვლილებები ბრძანებებში

წაიკითხეთ მობი

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესი

2022 წლის 28 მარტს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №7545 (25.03.2022), რომლითაც ცვლილება შევიდა იმავე უწყების 2022 წლის 16 თებერვლის №3751 ბრძანებაში „ცადველ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ბედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის და გადასახადის გადამხდელის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის განსაზღვრის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“. კერძოდ, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი შეიცვალა და დაკონკრეტდა, რომ საგადასახადო დავალიანება, რომელიც შეადგენს ან აღემატება 50,000 ლარს და განსაზღვრავს დღგ-ის გადამხდელი პირის ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადაყვანას, უნდა იყოს ალიარებული. შესაბამისად, ცვლილება განიცადა ამავე ბრძანების მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტმა და დაზუსტდა, რომ თუ ალიარებული საგადასახადო დავალიანება ნაკლები იქნება აღნიშნული თანხის ოდენობაზე, სპეციალური წესით სარგებლობა შეწყდება ავტომატურად.

ასევე, აღნიშნული ნაწილის ცვლილებით გაუქმდა პირის სპეციალურ წესზე გადაყვანის ერთ-ერთი საფუძველი, რაც მდგომარეობდა შემდეგში: თუ არაკვალიფიციური სტატუსის მქონე დღგ-ის გადამხდელი საგადასახადო ორგანოსთვის განცხადებით მიმართვის საფუძველზე მიიღებდა კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსს, ეს პირი ავტომატურად სავადიდებლო წესით გადადიოდა ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე 1 წლის ვადით.

ასევე, ცვლილებით, ბრძანების მე-7 გარდამავალი დებულებების მუხლს დაემატა მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც იმ პირებს, რომლებსაც 2022 წლის 28 მარტის მდგომარეობით არ დაუფიქსირდათ ალიარებული საგადასახადო დავალიანება 50,000 ლარის ან მეტი ოდენობით, შეუწყდათ ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების სპეციალური წესით სარგებლობის უფლება, გარდა ამ წესზე ნებაყოფლობით გადასული პირებისა.

აღნიშნული ცვლილებით მე-8 მუხლს დაემატა მე-7 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესით მოსარგებლე და კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირების შესახებ ინფორმაცია თავსდება შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.rs.ge

ცვლილება ძალაშია 2022 წლის 28 მარტიდან.

შინაარსი

- ▶ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესი
- ▶ მომსახურების გაწევის აღვილზე დაინტერესებული პირისათვის შესაფუძვლი მომსახურებები
- ▶ ვირტუალური ზონის პირების მოგების გადასახადით დაბეგვრა

**მომსახურების განვითარების ადგილზე
დაინტერესებული პირისათვის
შესაზღვრული მომსახურებები**

2022 წლის 9 მარტს გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №5015 (28.02.2022), რომლითაც ცვლილება შევიდა იმავე უწყების 2021 წლის 25 ოქტომბრის N33619 ბრძანებაში „ცადკეულ შემთხვევებში მომსახურების განვითარების ადგილზე დაინტერესებული პირისთვის მომსახურების განვითარების შემთხვევის შესახებ“. ცვლილების შედეგად, ბრძანების დანართ №1-ს დამატდა იმ მომსახურებების სახეები, რომლის განვითარება ადგილზე შეიძლება და დაინტერესებულ პირებს ამ მომსახურებებით სარგებლობა შეეძლებათ დისტანციურად:

- ▶ განტის ხელშეკრულების ფარგლებში შექმნილ საქონელზე ან/და მომსახურებაზე გადახდილი დღგ-ის თანხის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის მოთხოვნის რეგისტრაცია
- ▶ დღგ-ის გადამხდელ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ განცხადების რეგისტრაცია
- ▶ დღგ-ის გადამხდელ რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილების განხორციელების მოთხოვნის რეგისტრაცია
- ▶ დღგ-ის თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითრის გაცემის უფლების მიღების მოთხოვნის რეგისტრაცია
- ▶ დღგ-ის თანხის დაბრუნების სპეციალური ქვითრის გაცემის სავაჭრო ობიექტების/ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნუსხაში ცვლილების შესახებ განცხადების რეგისტრაცია.

ცვლილება ძალაშია 2022 წლის 20 მარტიდან.

**ვირტუალური ზონის პირების
მოგების გადასახადით დაბეგვრა**

2022 წლის 25 მარტს გამოქვეყნდა საქართველოს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება N7547, რომლითაც დამტკიცდა მეთოდური მითითება „ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე“ და ძალადაკარგულად გამოცხადდა შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 31 დეკემბრის N42644 ბრძანება „ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე“. აღნიშნული მეთოდური მითითებით განიმარტა ის კერძო შემთხვევები, როდესაც ვირტუალური ზონის პირი ისარგებლებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი შეღავათით ან შევზღუდება ამ შეღავათით სარგებლობა.

აღნიშნული მეთოდური მითითება პირველად ხელმისაწვდომი გახდა 2022 წლის თებერვლის თვეში შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით. თებერვლის თვეში გამოქვეყნებული მეთოდური მითითებით განისაზღვრა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილად მიიჩნეოდა, თუ ვირტუალური ზონის პირი ამ პროდუქტების შესაქმნელად არსებითად გამოიყენებდა საქართველოში შესაბამისი პროფილური განხორციელებული ფიზიკური პირების შრომას, რაც ნიშნავდა იმას, რომ ეყოლებოდა სათანადო ადამიანური რესურსი საჭირო კვალიფიკაციით. მეთოდური მითითების ამავე რედაქციით შეფასდა, რომ პროფილური განხორციელებულ პირებზე ხელფასის სახით არსებით განაცემად შესაძლოა ჩათვლიდეს ხელფასის სახით განუხორციელებული ხარჯები, თუ იგი შეადგენდა სანაწარმოს ფინანსური შემოსავლის 40%-ს.

განახლებული მეთოდური მითითებით ისევ აუცილებელ პირობას წარმოადგენს შესაბამისი პროფილური განხორციელებული პირების დაქირავების საკითხი და ამასთანავე განისაზღვრა, რომ სახელფასო განაცემები არსებითად უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი პროფესიების მიხედვით საქართველოს შრომით ბაზარზე არსებულ ხელფასს. შესაბა-

მისად, ხელფასის სახით არსებით განაცემის განსასაზღვრად მაკონტროლებდნენ ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ შესაბამისი პროფესიის მიხედვით საქართველოს შრომით ბაზარზე ხელფასის შესახებ არსებული მონაცემები. აღარ მოხდება იმის მხედველობაში მიღება, ხელფასის სახით განუხორციელებული ხარჯები სანაწარმოს ფინანსური მაჩვენებლის 40%-ს შეადგენს თუ არა.

შეგახსენებთ, რომ ვირტუალური ზონის იურიდიული პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება ან მოგების განაწილება თავისუფლდება მოგების გადასახადით დაბეგვრიდან.

ცვლილება ძალაშია 2022 წლის 25 მარტიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელთაც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მოიცავს ინფორმაციას ცვლილებების შესახებ ა/ფ გამოყენების სპეციალური წესის, ვირტუალური ზონაში დაბეგვრის და სხვა თემებთან დაკავშირებით.

მარიამ ხუსკვიძაძე
MKuskivadze@bdo.ge

მინაილ მენუქიძე
Menukidze@bdo.ge

▶ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელო სახით გამოყენებისთვის, დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემული ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად, შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.